ოქმი N 3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2022 წლის 28 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. ფრიდონი შონია
4. სერგო ბერაია
5. აკაკი მალანია
6. გურიელ ქარდავა
7. ბადრი რიჟამაძე
8. ფელიქსი წურწუმია
9. ნინო ბოკუჩავა
10. მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 21 თებერვლის N53-51220525 წერილის განხილვა. (საკრებულოს წევრების გარდა თანამდებობის პირებისა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 21 მარტის N50-502208041 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 21 მარტის N50-502208042 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი -არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი საკითხი

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 21 თებერვლის N53-51220525 წერილის განხილვა. (საკრებულოს წევრების გარდა თანამდებობის პირებისა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის წერილი, საკრებულოს წევრების გარდა თანამდებობის პირებისა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდის თაობაზე და აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან და საკრებულოში დარგის კურატორთან, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან მ. ქარდავასთან და დამტკიცებულ ბიუჯეტში შესაბამისი თანხების არ არსებობის გამო, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია, უარი ეთქვას განმცხადებელს, აღნიშნული ხარჯების გაზრდის თაობაზე.

მ. ქარდავა - დაეთანხმა მომხსენებელს, ამ ეტაპზე შესაბამისი თანხების ბიუჯეტში არ არსებობის გამო, უარი ეთქვას განმცხადებელს მოთხოვნილი ხარჯების გაზრდის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის წინადადების საკრებულოს წევრების გარდა თანამდებობის პირებისა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4, წინააღმდეგი - 6

დაადგინეს: უარი ეთქვას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარეს საკრებულოს წევრების გარდა თანამდებობის პირებისა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდის თაობაზე

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 21 მარტის N50-502208041 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ და განაცხადა, რომ 2020 წლის 29 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, შემოსულობების ნაწილში 10002,7 ათასი ლარის და საგასავლო ნაწილში 10002,7 ათასი ლარის ოდენობით. 2021 წლის იანვარ-დეკემბრის თვის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა შემოსულობების ნაწილში 18403,6 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 21497.5 ათასი ლარი, აქედან 8161.2 ათასი ლარი სახელმწიფო

უფლებამოსილების განსახორციელებლად. 2021 წლის იანვარ-დეკემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 105,1%-ით (წლური გეგმა 18403,6 ათასი ლარი - წლიური შესრულება 19336,8 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლები გეგმიური წლიური 9518,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 9156,2 ათასი ლარი - 361,8 ათასი ლარით ნაკლები. სხვა შემოსავლები 2021 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში, წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული 694,4 ათასი ლარის ნაცვლად ბიუჯეტში შემოსულია 1276,9 ათასი ლარი - 582,5 ათასი ლარით მეტი. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – წლიური გეგმით გათვალისწინებული 12500,4 ათასი ლარიდან ათვისებულია 10166,0 ათასი ლარი. აქედან: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯია 6994,6 ათასი ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2021 წლის გეგმიური 1025,2 ათასი ლარიდან იანვარ-დეკემბერში ათვისებულია 988,4 ათასი ლარი. ფულადი სახსრების ნაშთმა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 4936,0 ათასი ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტი, შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 21 მარტის N50-502208042 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტი და განაცხადა, რომ 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 1786.6 ათასი ლარით და განისაზღვრა - 18405,5 ათასი ლარით, რომელიც გადანაწილდა: 1344,2 ათასი) ლარი (გრანტი, განახლებული რეგიონები); 46081 ლარი (საჯარო სკოლების დაფინანსება); 396296 ლარი (საჯარო სკოლების დაფინანსება). გადასახდელები გაიზარდა 1829,3 ათასი ლარით და განისაზღვრა 19204,2 ათასი ლარის ოდენობით. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია